



## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №2592/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "SELLMUS" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია მე-5 კლასის მსგავსი საქონლისთვის კომპანიის „Alliance UniChem IP Limited“ (მისამართი: The Heights, Brooklands, Weybridge, Surrey KT13 0NY), სახელზე საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „ALMUS“ (IRN895892 რეგ. და გავრცელ. თარიღი: 13.07.2006). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. ორივე სასაქონლო ნიშანში შემაჯავლი ასოების წყობა „LMUS“ ვიზუალურად და უღედოდ იმდენად მსგავსია, რომ არსებობს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის რისკი, ხოლო წინსართი „AL“ და „SE“ არ ანიჭებთ მათ საკმარის განმასხვავებელუნარიანობას, რის გამოც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ეგიშ დიოდისერდიარ ნიილვანოშან მიუკედე რესვეტარშაშაგ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშანი ითვლება სხვა ნიშნის არღევამდე მსგავსად, თუ იგი ასოცირდება მასთან მთლიანობაში, ცალკეული განსხვავებების მიუხედავად. სიტყვიერი აღნიშვნების მსგავსება შეიძლება იყოს ბგერითი (ფონეტიკური), გრაფიკული (ვიზუალური) და აზრობრივი (სემანტიკური). ჩამოთვლილი ნიშნები შეიძლება განიხილებოდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე სხვადასხვა კომბინაციაში. აპელანტის განმარტებით, ნიშნის ფონეტიკური ანალიზისას ბგერითი (ფონეტიკური) მსგავსება განისაზღვრება: მსგავსი მარცვლების არსებობისა და მათი განლაგების მიხედვით, მარცვლების

რაოდენობის მიხედვით, მახვილების მიხედვით,- ნიშნის თანხვედრი ნაწილების ხასიათისა და სხვა გარემოებების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განცხადებული ნიშანი "SELLMUS" და დაპირისპირებული ნიშანი "ALMUS" ახდენენ სრულიად განსხვავებულ ზოგად შთაბეჭდილებას და ამის გარდა, არიან სრულიად არამსგავსი ფონეტიკური კრიტერიუმების მიხედვით, რადგან განცხადებული ნიშანი შედგება შვიდი ფონემის, ორი ხმოვნის, ხუთი თანხმოვნისა და ორი მარცვლისაგან, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს ორ მარცვალსა და ხუთ ფონემას, ასევე ორ ხმოვანსა და სამ თანხმოვანს. როგორც ჩანს, ნიშნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ფონემების რიცხვით და შემადგენლობით. განცხადებული ნიშანი შედგება ფონემათა მეტი რაოდენობისაგან, გარდა ამისა ახასიათებს გაორმაგებული "LL", რაც მას დამატებით გასხვავებას ანიჭებს დაპირისპირებულ ნიშანთან შედარებით. ამის გარდა ორივე სიტყვის დასაწყისი ნაწილები სრულიად განსხვავებულია. აღნიშნული განსხვავებებიდან გამომდინარე, განსახილველი ნიშნები ახდენენ გასხვავებულ შთაბეჭდილებას მათი წარმოთქმისას და მოსმენისას და ამდენად ისინი არ არიან აღრევაძვე მსგავსი ფონეტიკური კრიტერიუმით. აპელანტის პოზიციით, სემანტიკური ანალიზისას ზოგადი მხედველობითი აღქმის და ფონეტიკური კრიტერიუმის მიხედვით განსხვავების გარდა, შესადარებელი ნიშნები განსხვავდება იმ ასოციაციურ-სემანტიკური კავშირებით, რომლებიც წარმოიქმნება მათი აღქმისას. განცხადებული ნიშანი "SELLMUS" არის ფანტაზიური, მაშინ, როდესაც დაპირისპირებული ნიშანი "ALMUS" შეიძლება ითარგმნოს ლათინურიდან როგორც "მკვებავი, მაცოცხლებელი, სიკეთის მომტანი". აღნიშნული განსხვავებებიდან გამომდინარე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები იწვევენ განსხვავებულ ასოციაციურ კავშირებს და ვერ შეუქმნიან მომხმარებელს შთაბეჭდილებას, თითქოს საქონელი, მარკირებული შესადარებელი ნიშნებით, მიეკუთვნება ერთი და იგივე მწარმოებელს. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ ნიშნების შედარების დროს ძალიან მნიშვნელოვანია, არის თუ არა ნიშნების დასაწყისი ნაწილი ერთნაირი, რადგან მომხმარებელი იმახსოვრებს

ძირითადად საწყისს ნაწილს. ჩვენს შემთხვევაში ნიშნების დასაწყისი ნაწილები საერთოდ არ ჰგავს ერთმანეთს და არ იკითხება ერთნაირად. აპელანტის მითითებით, კომპანია „EGIS Gyogyszergyar Nyilvanosan Mukodo Reszvenytarsasag” დაარსებულია 1863 წელს და დღეისათვის არის აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი, უნგრული, ფარმაცევტული კომპანია. კომპანიის საქმიანობა ვრცელდება ფარმაცევტული წარმოების ყველა დარგზე გამოკვლევებიდან დაწყებული აქტიური სუბსტანციების და მზა პროდუქციის წარმოებამდე. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი, კომპანია „Alliance UniChem IP Limited”-ი დაარსებულია 1938 წელს და დღეისათვის, არის ლიდერი გაერთიანებული სამეფოს (დიდი ბრიტანეთის) ფარმაცევტულ ბაზარზე საბითუმო და სადისტრიბუციო სეგმენტში და შედის „Alliance Boots” კომპანიათა ჯგუფში. ამდენად, სრულიად ნათელია, რომ ორივე კომპანიას გააჩნია საკუთარი, ჩამოყალიბებული რეპუტაცია, დიდი ხნის განმავლობაში არსებობენ ბაზარზე და მუშაობენ განსხვავებულ სფეროებში – ერთი კომპანია (EGIS) ცნობილია, როგორც ახალი სამკურნალო საშუალებების შემქმნელი და გამყიდველი, ხოლო მეორე (Alliance) – არის მხოლოდ საბითუმო დისტრიბუტორი. ორივე კომპანიას აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი იმიჯი, მათმა სასაქონლო ნიშნებმა დაიმსახურეს მომხმარებელთა ნდობა. ამავე დროს, მათ სრულიად განსხვავებული მომხმარებლები ჰყავთ – კომპანია EGIS-ის მომხმარებელი შეიძლება იყოს ნებისმერი ადამიანი, რომელსაც ესაჭიროება წამლის ყიდვა, ხოლო საბითუმო კომპანია Alliance-ის მომხმარებლები არიან უფრო კომპანიები, მაღაზიები, აფთიაქები, ვიდრე რიგითი მყიდველი. ზემოთ მოყვანილის გათვალისწინებით, სავსებით ნათელია, რომ თვითვე კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა ბაზარზე და მათი საქონელი ვერაფრით ვერ შეიყვანს მომხმარებელს შეცდომაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2592/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „SELLMUS” (საიდ. №70351/03 IR 1141114) დაცვის მინიჭებას საქართველოში

საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიიჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „SELLMUS“ (IR 1141114) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ALMUS“ არ წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი განსხვავდება როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავდება ვიზუალურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება 7 ლათინურად შესრულებული ასომთავრული ასოსაგან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი შედგება 5 ლათინურად შესრულებული ასომთავრული ასოსაგან. ამასთან, განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ განსხვავებული საწყისი ნაწილები, კერძოდ „SELL“ – “AL”. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შეიცავს დამატებით „L” და „S” ასოებს, რაც სძენს ნიშნებს ვიზუალურ განსხვავებას. ვინაიდან, განცხადებულ ნიშანში „L” ასოები ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარეობს, განცხადებული ნიშანი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავებით შედარებით გრძელ ნიშნად აღიქმება. ამასთან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი იწყება „S” თანხმოვანზე, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი იწყება „A” ხმოვანზე, რაც სძენს ნიშნებს ვიზუალურთან

ერთად ფონეტიკურ განსხვავებასაც. კერძოდ, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთავრდება „ს“ ხმოვანზე, შესაბამისად ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე მას ბოლოში ემატება „ი“ ხმოვანი და ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „სელ-მუ-სი“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი როგორც „ალ-მუ-სი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში აღგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნისათვის „SELLMUS“ (საიდ. №70351/03 IR 1141114) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა ო ე ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ეგიშ დიოდისერდიარ ნილვანოშან მიუკედე რესვეტარშაშაგ“-ის (EGIS GYOGYSZERGYÁR Nyilvánosan Működő Részvénytársaság) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 24 დეკემბრის №2592/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „SELLMUS“ (საიდ. №70351/03 IR 1141114) მიენიჭოს დაცვა საქართველოში მე-5 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ქ.

წევრები:

ი. გიქორაშვილი

ლ. ახოზაძე